ინფორმაცია კონკურსის შესახებ

2019 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“ მიმდინარე წლის 10 ივნისს აცხადებს საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსს მხარეთა ერთობლივი პროექტის ფარგლებში მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მშენებარე ტაძრის მიმდებარედ, თანამედროვე და უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ-მუზეუმის პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შესაქმნელად.

კონკურსი ღიაა და მასში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ არქიტექტორს/არქიტექტურულ კომპანიას, რომელიც აკმაყოფილებს საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკონკურსო პირობებისა და ტექნიკური დავალების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ „საზოგადოება ივერიისა“-ს ვებ და facebook გვერდებზე: www.iveriisa.ge და https://www.facebook.com/iveriisa/ ასევე შემდეგ ვებგვერდებზე: www.jobs.ge, www.hr.ge, www.etenders.ge

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებულ კომპანიას/საპროექტო ჯგუფს გამოავლენს საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს წარმომადგენლებისაგან.

კონკურსით მოთხოვნილი პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2019 წლის 31 ივლისი. საკონკურსო კომისია იმუშავებს 2019 წლის 25 აგვისტომდე. შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2019 წლის 28 აგვისტოსი.

საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის
პროგრამა და პირობები
„ქართული ქრისტიანული კულტურის მუზეუმის“ ახალი
შენობის წინასწარი კონცეპტუალური დიზაინის პროექტის
მომზადება
კონკურსის ორგანიზატორი: ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“
თბილისი, საქართველო, 2019 წელი

1. პრეამბულა

1.1. პროექტის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სამუზეუმო სივრცის და კულტურულ-საგანმანათლებლო კომლექსის მოწყობა, რომელიც შუა საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებული საგანმანათლებლო კერების მსგავსად იქნება რწმენის და ცოდნის, განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზის კერა, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ღირებულებების და ტრადიციების გაცოცხლების და ხელმისაწვდომობის საქმეში.
1.2 კონკურსი ტარდება თანამედროვე და უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუზეუმის პროექტის წინასწარი კონცეპტუალური დიზაინის შესაქმნელად.

2. კონკურსის მიზანი

2.1. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ 01.17.06.003.003) თანამედროვე და უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუზეუმო კომპლექსის ახალი შენობის წინასწარი კონცეფტუალური დიზაინის საუკეთესო პროექტის შერჩევა.

3. შენობის აღწერა

3.1. მუზეუმი უნდა იყოს თანამედროვე, ახალი, მრავალფუნქციური ორ სართულიანი შენობა, დაახლოებით 6,000 კვ/მ, რომელიც თავისი მასშტაბით ჩაწერილი იქნება ბუნებრივ ლანდშაფტში თუ არქიტექტურულ გარემოში. თანამედროვე საერთაშორისო სამუზეუმო პრაქტიკის გათვალისწინებით, მუზეუმის შენობა თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით უნდა იქცეს მიზიდულობის ცენტრად, სადაც ხაზგასმული იქნება, მისი მნიშვნელობა, ხელმისაწვდომობა და ფუნქცია. მუზეუმში საექსპოზიციო დარბაზებთან ერთად განთავსდება საგანმანათლებლო სივრცე, აუდიტორია, შეხვედრების ოთახები, ბიბლიოთეკა/მედიათეკა და სხვ.

4. კონკურსის პირობები და წარსადგენ მასალათა ჩამონათვალი

4.1. კონკურსი ღიაა და მასში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ არქიტექტორს/არქიტექტურულ კომპანიას, რომელსაც აქვს არქიტექტურული საქმიანობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება და დამოუკიდებელი საპროექტო ჯგუფის დაკომპლექტების გამოცდილება *(არქიტექტორი, კონსტრუქტორი, კონდეციონირება-ვენტილაციის და წყალგაყვანილობა-კანალიზაციის ინჟინერი, ელექტრო ინჟინერი).*
4.2. კონკურსანტებს გადაეცემათ საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, სადაც განსაზღვრული იქნება მოთხოვნები და პირობები, რის შესაბამისადაც მათ უნდა წარმოადგინონ წინასწარი კონცეპტუალური დიზაინის პროექტი დადგენილ ვადაში.
4.3. თითოეულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
4.3.1. განაცხადი;
4.3.2. დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსდება ინფორმაცია არქიტექტორის/არქიტექტურული კომპანიის და მისი საპროექტო ჯგუფის შემადგენლობის შესახებ, წარმოდგენილი გუნდის თითოეული წევრის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ასევე, ინფორმაცია მათ მიერ შესრულებული საზოგადოებრივი შენობების შესახებ.

4.4. თითოეულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსდება პროექტის ამობეჭდილი (*ბეჭდური მასალის ფორმატი არ არის შეზღუდული*) და ელექტრონული ფორმით PDF ან JPG ფორმატში CD-ზე ჩაწერილი ვერსიები, ასევე შესაბამისი განმარტებითი ბარათი:
4.4.1. სიტუაციური გეგმა მ. 1:2000 ან 1:1000;
4.4.2. ტერიტორიის გენერალური გეგმა მ. 1:500 ან 1:250;
4.4.3. მუზეუმის ახალი შენობის ამსახველი ფოტომონტაჟი და ვიზუალური მასალა (შესაძლოა როგორც ხელით შესრულებული ესკიზები, ასევე რენდერები. შესაძლოა ვარიანტები);
4.4.4. არქიტექტურული გეგმები, მუზეუმის შიდა სივრცის ფუნქციონალურ-სივრცული გადანაწილება; სქემატური ჭრილები სიმაღლეების ჩვენებით (მ. 1:100);
4.4.5. მუზეუმის შენობის სრული პროექტის საპროექტო ბიუჯეტი.

5. შეფასების კრიტერიუმები

5.1. შესაბამისობა საკონკურსო პირობებთან.
5.2. შიდა სივრცის ეფექტური ფუნქციური განაწილება / არქიტექტურულ-მხატვრული დონე.
5.3. ორგანული კავშირი გარემოსთან და ქალაქის არქიტექტურულ იერსახესთან. მუზეუმის ახალი შენობის ინფრასტრუქტურა ორგანულად უნდა იყოს შერწყმული არსებულ ლანდშაფტთან და გარემოსთან; მუზეუმის შენობა უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიოს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებს.

6. ვადები

6.1. კონკურსი გამოცხადდება 2019 წლის 10 ივნისს „საზოგადოება ივერიისა“-ს facebook გვერდზე: https://www.facebook.com/iveriisa/ ასევე შემდეგ ვებგვერდებზე: www.iveriisa.ge, www.jobs.ge, www.hr.ge, www.etenders.ge
6.2. საკონკურსო მასალები ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის 10 ივნისიდან.
6.3. კონკურსით მოთხოვნილი პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2019 წლის 31 ივლისი, 15:00 საათი მის: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 4, ჯი-ემ-თი პლაზა, „საზოგადოება ივერიისა“-ს სამდივნო.
6.4. საკონკურსო კომისია იმუშავებს 2019 წლის 25 აგვისტომდე.
6.5. შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2019 წლის 28 აგვისტოსი.

7. შეფასება და კონკურსის შედეგები

7.1. კონკურსში გამარჯვებულ კომპანიას/საპროექტო ჯგუფს გამოავლენს საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს წარმომადგენლებისაგან.
7.2. კონკურსში გამარჯვებულისთვის არ არის დაწესებული ფულადი ჯილდო.
7.3. კონკურსში გამარჯვებულ პროექტზე საკუთრების უფლება და შესაბამისი ქონებრივი საავტორო უფლებები და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებები გადადის ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ზე.
7.4. გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდება მუზეუმის ახალი შენობის არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესახებ ხელშეკრულება, მას მერე რაც ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს და კონკურსში გამარჯვებულ კომპანია/საპროექტო ჯგუფს შორის შეთანხმდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული ბიუჯეტი. გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა შეასრულოს მუზეუმის ახალი შენობისა და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის, კონსტრუქციული, არქიტექტურული, ინტერიერის დიზაინის, საინჟინრო პროექტირების და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები და შემდგომ საავტორო ზედამხედველობა სრული საამშენებლო პერიოდის განმავლობაში.
საინჟინრო პროექტი უნდა მოიცავდეს: გათბობა, კონდიცირება (გაგრილება); ვენტილაცია (მათ შორის სახანძრო); წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, ელექტრომომარაგების სისტემა, სუსტი დენები (აუდიო, გახმოვანების, სატელეფონო, სახანძრო დეტექციის და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები). ასევე მოსამზადებელი იქნება ტექნოლოგიური ნაწილი (ავეჯის განლაგების მითითებით), აკუსტიკის პროექტი, ვერტიკალური გეგმარება და კეთილმოწყობის პროექტი (დეკორატიული ბილიკები, ასფალტის საფარი, გამწვანება, ღია პარკინგი და ა.შ.) თანამედროვე უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

8. საკონტაქტო პირი

8.1. კონკურსანტებს შეუძლიათ წერილობითი შეკითხვებით მიმართონ ორგანიზატორებს საკონკურსო თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მიიღონ პასუხები. კითხვებზე პასუხების მისაღებად დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: tamriko@gmail.com ტელეფონი: 577 497416.

ტექნიკური დავალება

კონკურსანტებს ევალებათ შემდეგი სახის დოკუმენტაციის წარდგენა:

- სიტუაციური გეგმა მ. 1:2000 ან 1:1000;
- ტერიტორიის გენერალური გეგმა მ. 1:500 ან 1:250;
- მუზეუმის ახალი შენობისა ამსახველი ფოტომონტაჟი და ვიზუალური მასალა (შესაძლოა როგორც ხელით შესრულებული ესკიზები, ასევე რენდერები. შესაძლოა ვარიანტები);
- არქიტექტურული გეგმები, მუზეუმის შიდა სივრცის ფუნქციონალურ-სივრცული გადანაწილება; სქემატური ჭრილები სიმაღლეების ჩვენებით (მ. 1:100);
- მუზეუმის შენობის სრული პროექტის საპროექტო ბიუჯეტი.

პროქტირებისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მუზეუმის შენობის შიდა სივრცის ფუნქციური განაწილება, რაც მუზეუმის შეუფერხებლად ოპერირების გამსაზღვრელი ფაქტორია.

ზოგადი მიზანი

პროექტის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამუზეუმო სივრცის და კულტურულ-საგანმანათლებლო კომლექსის მოწყობა, რომელიც შუა საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებული საგანმანათლებლო კერების მსგავსად იქნება რწმენის და ცოდნის, განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზის კერა, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ღირებულებების და ტრადიციების ნოვატორული გაცოცხლების და ხელმისაწვდომობის საქმეში.

საპროექტო დავალების ძირითადი მიზანი და ამოცანები

საპროექტო დავალების ძირითად მიზანს წარმოადგენს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამუზეუმო კომპლექსის პროექტის შემუშავება:

- მუზეუმის ახალი შენობის და მახათას მთის კომპლექსის ერთიანი გეგმის შემუშავება არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით; თანამედროვე ინფრასტრუქტურა ორგანულად უნდა იყოს შერწყმული არსებულ ლანდშაფტთან და გარემოსთან;
- მუზეუმის შენობა უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიოს თანამედროვე უმაღლეს სამუზეუმო სტანდარტებს.

შენობის აღწერა

მუზეუმი უნდა იყოს თანამედროვე, ახალი, მრავალფუნქციური ორ სართულიანი შენობა, რომელიც თავისი მასშტაბით ჩაწერილი იქნება ბუნებრივ ლანდშაფტში თუ არქიტექტურულ გარემოში. სასურველია თანამედროვე მასალებთან ერთად, გამოყენებული იქნას ადგილობრივი არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მოსაპირკეთებელი მასალა.

თანამედროვე სამუზეუმო პრაქტიკის გათვალისწინებით, მუზეუმის შენობა თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით უნდა იქცეს მიზიდულობის ცენტრად სადაც ხაზგასმული იქნება, მისი მნიშვნელობა, ხელმისაწვდომობა და ფუნქცია.

ახალი შენობის სავარაუდო საპროექტო ფართი უნდა იყოს დაახლოებით 6,000 კვ.მ

მუზეუმის შენობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა შესაძლებლობის დამთვალიერებლისათვის (პანდუსები და ა.შ.)

<u>ზონა ხელმისაწვდომი დამთვალიერებლისთვის, სადაც არ არის კოლექციები</u>

საზოგადოებრივი და საინფორმაციო სივრცე

- შესასვლელი ჰოლი (ფართო და ღია სივრცე), ვიზიტორთა მისაღები, საინფორმაციო და ბილეთების სალარო - 260კვ/მ
- დაცვის ოთახი - 15 კვ/მ
- გარდერობი -10 კვ/მ
- საკვანძები დამლაგებლის ოთახებით (ქალებისთვის, კაცებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის) - 45 კვ/მ
- გიდების სივრცე - 20 კვ/მ
- წიგნების და სუვენირების მაღაზია - 60 კვ/მ
- ოთახები მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის - 100-120 კვ/მ
- მედიათეკა-ბიბლიოთეკა – 180 კვ/მ
- მულტიფუნქციური ოთახი შეხვედრებისთვის, კონფერენციებისთვის - 180 კვ/მ
- აუდიტორია - 200 კვ/მ (100 კაცზე)
- კაფეტერია - 80 კვ/მ
- ოფისები - 100 კვ/მ

<u>ზონა ხელმისაწვდომი დამთვალიერებლისთვის, სადაც არის კოლექცია</u>

საგამოფენო სივრცე

- დროებითი გამოფენების დარბაზი 200-300 კვ/მ - სასურველია ჰქონდეს ბუნებრივი განათების წყარო
- მუდმივი საექსპოზიციო სივრცეები - სულ 700-1000 კვ/მ - სასურველია ჰქონდეს ბუნებრივი განათების წყარო

ზონა მიუწვდომელი დამთვალიერებლისთვის, სადაც არის კოლექციები

- **დამხმარე სათავსო** დროებითი გამოფენებისთვის (გამოფენის მისაღებად და დროებით შესანახად) - **50** კვ/მ
- **პირველადი საკონსერვაციო ლაბორატორია** - 60 კვ/მ

ზონა მიუწვდომელი დამთვალიერებლისთვის, სადაც არ არის კოლექციები

მუზეუმის პერსონალის სამუშაო ოთახები

- დირექტორის კაბინეტი - 20 კვ/მ, სამდივნო მოადგილის სამუშაო ოთახი - 30 კვ/მ
- ბუღალტერია - 15 კვ/მ
- კანცელარია - 20 კვ/მ)
- **მუზეუმის პერსონალის სამუშაო ოთახები** - 45 კვ/მ

ტექნიკური სივრცე

- ელექტროობის ოთახი - 15 კვ/მ
- საგენერატორო - 25 კვ/მ
- საქვაბე - 20 კვ/მ
- ვენტილაციის დანადგარები - 20 კვ/მ
- კონდიცირების დანადგარები - 20 კვ/მ
- სარეზერვო სათავსო -20 კვ/მ
- საწყობი - 20 კვ/მ
- საცავები - 600 კვ/მ
- ჰაერის გამწმენდი ოთახი - 400 კვ/მ
- **სამეურნეო ოთახი** - 45 კვ/მ
- **2 სველი წერტილი** პერსონალისათვის - **10** კვ/მ

საპროექტო სივრცე უნდა იყოს მაქსიმალურად ენერგოეფექტური, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი თბო დანაკარგები. გამოყენებული მასალები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო ექსპლუატაციას მოსალოდნელ დატვირთვებზე.

ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალებისა შერჩევა უნდა განხორციელდეს დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე.